

შპს იმედი

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
ფინანსური ანგარიშგება

თბილისი 2019 წელი

ზოგადი ინფორმაცია

საწარმოს სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება - შპს „იმედი“ ს/ნ 400053749 (შემდგომში - საზოგადოება).

საგადასახადო რეგისტრაციის თარიღი- 2012 წლის 6 ივლისი; დღგ-ს გადამხდელია 2012 წლის 6 ივლისიდან.

საზოგადოების იურიდიული მისამართი - ქ. თბილისი, გლდანი-ნამალადევის რაიონი, ა.სუმბათაშვილ-იუჟინის ქ.#60 ფაქტობრივი მისამართი - ქ. თბილისი, ევგენი ხარაძის ქ.#6

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან და მათი წილები საწესდებო კაპიტალში შეადგენს:

1. მამუკა კოპაძე	პ/ნ	01020004567	-50%
2. იმედა აფციაური	პ/ნ	01019009982	-50%

საზოგადოება სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალში წილებს არ ფლობს.

საზოგადოების ხელმძღვანელია - მამუკა კოპაძე თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 15 კაცს;

საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს შემდეგი მიმართულებით: სატვირთო საგზაო ტრანსპორტი, სხვა სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღია 2018 წლის 31 დეკემბერი. ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი- არის 2018 წელი.

ზოგადი დებულებები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების მიზანია, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ ისეთი უტყუარი და სამართლიანი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც სასარგებლო იქნება დაინტერესებული პირებისთვის ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. შეფასების დროს ამ პრინციპებიდან გადახვევის შემთხვევაში, გაკეთდება განმარტებები ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების მოზადება გულისხმობს იმას, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობა აკეთებს გარკვეულ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენაზე.

ფინანსური ანგარიშგების ფორმირება, ასევე ახსნა-განმარტებით შენიშვნებში აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისთვის. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებებისგან. აქედან გამომდინარე, პერიოდულად ხდება ამ შეფასებების განხილვა და საჭიროებისამებრ განახლება, კორექტირება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებში, როდესაც ამის შესახებ გახდება ცნობილი.

წარდგენის ვალუტა

საზოგადოება აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ეკონომიკური შინაარსის და საქმიანობის შესაბამისად, ქართული ვალუტა აღიარებულია როგორც შეფასების ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტის - ქართული ლარის გარდა, საზოგადოება საბანკო ტრანზაქციებს ანხორციელებს აშშ დოლარისა და ევრო-ს ანგარიშებით.

საზოგადოებამ მოახდინა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლების გადაფასება.

კერძოდ, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის სესხების გადაფასებით

მიღებულმა ზარალმა შეადგინა 41136 ლარი, ხოლო კურსთაშორის სხვაობიდან მიღებულ ზარალმა - 662,68 ლარი.

საზოგადოების მესაკუთრეებზე დივიდენდები 2017 წელს გაცემულია 15789 ლარი ;
ხოლო 2018 წელს დივიდენდი არ გაცემულა

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისმობს, რომ საზოგადოება განაგრძობს უწყვეტად ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში.

ხელმძღვანელობას განზრახული არა აქვს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებულია, ასე რომ მოიქცეს. მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს აქვთ სურვილი განავითარონ და გააფაროვონ საზოგადოების მუშაობა.

ქვემოთ არის წარმოდგენილი საზოგადოების 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საშედეგო ცხრილები.

კერძოდ:

- ფინანსური მდგომარეობის ცხრილი;
- საქმიანობის შედეგების ცხრილი;
- ფულის მოძრაობის ცხრილი;
- ძირითადი საშუალებების (სპეციალური აქტივების) ჩამონათვალი და პარამეტრების ცხრილი;

შპს იმედი		
ფინანსური მდგომარეობა (საანგარიშგებო 2018 წელი), ლარი		
	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31/12/2018	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31/12/2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	94 846	653 927
სავაჭრო მოთხოვნები	87 081	98 063
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		
სხვა მიმდინარე აქტივები		
მარაგები	2 726	2 198
ძირითადი საშუალებები	1 404 735	808 085
სხვა არამატერიალური აქტივები	1 160	
სულ აქტივები	1 590 548	1 562 273
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	74 478	80 703
სხვა ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1 036 664	1 235 064
საგადასახადო ვალდებულებები	18 161	11 120
სულ ვალდებულებები	1 129 303	1 326 887
საკუთარი კაპიტალი	461 245	
კაპიტალი	97 348	196 691
გაუნაწილებელი მოგება	264 554	38 695
გადაფასების ნამეტი	99 343	
სულ საკუთარი კაპიტალი	461 245	235 386
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 590 548	1 562 273

შპს იმედი		
საქმიანობის შედეგები (საანგარიშგებო პერიოდი-2018 წელი) ლარი		
	საანგარიშგებო პერიოდი 2018წ	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2017წ
ამონაგები	3 183 509	2 381 590
მომსახურებიდან	1 439 910	948 510
ბეტონის რეალიზაცია	1 643 290	1 350 726
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი (გადაფასებით)		30 219
სხვა შემოსავალი	100 309	52 135
სულ ხარჯი	2 957 650	2 342 895
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1 458 705	1 180 169
საწვავის ხარჯი	409 846	314 415
პერსონალის ხარჯები	284 511	220 665
სესხის პროცენტი	68 424	41 100
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი (გადაფასებით)	41 136	
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	3 246	
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	710	660
იჯარის ხარჯი	13 815	9 480
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	208 273	128 860
ცვეთა და ამორტიზაცია	137 091	70 850
მიღებული დივიდენდი		15 789
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	331 893	360 906
სულ მოგება	225 859	38 695

შპს იმედი

	საანგარიშგებო წელი	პერიოდი-2018
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3198736	
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	3267668	
ფულისა და ფულის ეკვივალენტების სავალუტო კურსის ეფექტი	-41137	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-110 069,0	
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები;	49000	
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის ზრდის ხარჯზე		
ფულადი სახსრების გაცემა კაპიტალის შემცირების ხარჯზე	99343	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხების მიღების ხარჯზე		
სესხების ძირი თანხის დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები	330245	
სესხების პროცენტის დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები	68424	
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-449012	
წმინდა ზრდა (კლება) ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	653 927,0	
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	94 846,0	

შპს იმედი

ძირითადი საშუალებების (სპეცავტომანქანების) ჩამონათვალი და პარამეტრები

MERCEDES-BENZ	MERCEDES-BENZ 3234 B	წითელი 5/8	სპეციალური	10960	IM080ED	WDB6251151K058304	1994	25-იან-2019
MERCEDES-BENZ	MERCEDES-BENZ C 220 CDI	რუხი 1/8	სედანი	2148	IM030ED	WDB2021331A868017	2000	14-ივნ-2016
DAF	DAF CF85.480	თეთრი	სპეციალიზებული	12580	IM404ED	XLRAD85XC0E674231	2005	14-ივნ-2016
VOLVO	VOLVO FM 12	თეთრი	სპეციალური	12130	IM303ED	YV2J4CMD73A570833	2003	05-ივნ-2018
MAN	MAN TGA 41.430	თეთრი	სპეციალური	10518	IM717ED	WMAH39ZZ97M458786	2006	29-მაი-2018
MAN	MAN TGA 41.430	თეთრი	სპეციალიზებული	10518	IM040ED	WMAH39ZZ14M395923	2004	21-თებ-2017
MAN	MAN TGS 41 400	თეთრი	სპეციალური	10518	IM020ED	WMA39SZZ28M515847	2008	26-იან-2017
MAN	MAN 32.364	ნარინჯისფერი 6/8	სპეციალიზებული	11967	IM515ED	WMAT45ZZZ1M320095	2000	10-ნოვ-2016
MERCEDES-BENZ	DAIMLER-BENZ ACTROS	წითელი 6/8	სპეციალიზებული	11940	IM808ED	WDB9533171K408235	1999	06-ნოვ-2015
MERCEDES-BENZ	MERCEDES-BENZ E 320	რუხი 3/8	სედანი	3199	IM030ED	WDBUF65J03A367689		

განმარტებითი შენიშვნები

1. სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველი

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

საზოგადოების ხელმძღვანელობას აქვს შემუშავებული და იყენებს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია სამართლიანად ასახავს საწარმოს საქმიანობის შინაარსს, ეკონომიკურ მოვლენებს და ობიექტურია. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროს გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის პირველადი შეფასების საფუძველი. ცვლილებები საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასებებში არ მომხდარა.

1. ძირითადი საშუალებები

საზოგადოების ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თავდაპირველი თვითღირებულებით.

აქტივის თვითღირებულებაა გარიგების ფასი აქტივის შესყიდვის დროს (გადახდილი თანხა). თვითღირებულება მოიცავს ასევე ამ აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. აღიარება მოხდა შესყიდვის დოკუმენტების, ანგარიშ-ფაქტურების, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ანგარიში ხდება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ.

ძირითადი საშუალება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, საწარმომ უნდა ასახოს გადაფასების ღირებულებით (რაც გადაფასების მომენტიდან მისი რეალური ღირებულების ტოლი იქნება) შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

გადაფასება საკმარისად რეგულარულად უნდა ტარდებოდეს, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან საანგარიშგებო წლის ბოლოს. როდესაც ძირითადი საშუალების რომელიმე ობიექტის გადაფასება ხდება, მთლიანად უნდა გადაფასდეს ძირითადი საშუალების ის კლასი, რომელსაც მოცემული აქტივი მიეკუთვნება;

გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება თუ იზრდება, ნამეტი უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში, დაგროვდეს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში და ეწოდოს „გადაფასების ნამეტი“

საწარმოს ხელმძღვანელობამ 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით გადაამოწმა ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება, შეარჩია ჯგუფში შემავალი სპეცმანქანები, რომლებიც დაექვემდებარენ აფასებას და დადგინდა მათი რეალური ღირებულება.

რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა იდენტური აქტივის (ან ანალოგიური აქტივის) კოტირებული ფასი აქტიურ ბაზარზე, ჩვეულებრივ ეს წარმოადგენს მიმდინარე პერიოდში მყიდველის მიერ დაფიქსირებულ შესყიდვის ფასს;

აფასებული იქნა 3 ავტომანქანა: MERCEDES-BENZ 3234 B; MAN TGS 41 400 და DAIMLER-BENZ ACTROS.

აფასების მთლიან ღირებულებამ შეადგინა- 99343 ლარი.

საანგარიშო პერიოდში გაიყიდა სპეცავტომანქანა დაფ CV85-380 ბეტონმზიდი (IM303ED) ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) ასახულია პერიოდის მოგება-ზარალში.

2. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე. ფულადი სახსრები, როგორც მაღალლიკვიდური ინვესტიციები, საზოგადოების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, 2017 წელს და საანგარიშებო 2018 წელს ხასიათდება ცვლილების არაარსებითი რისკით და საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების შედგენაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

საზოგადოებაში ფულადი სახსრების აკუმულირების წყაროა ბეტონის სატრანსპორტო გადაზიდვა, რეალიზაცია.

საქონლის შესყიდვა - გადაზიდვა ხორციელდება ქვეყნის შიგნით, რეალიზაცია კი - ადგილობრივ ბაზარზე. აღნიშნულის გამო, *საოპერაციო* მოთხოვნებისა და ვალდებულებების მომსახურების პროცესში, საზოგადოება არ სარგებლობს უცხოური ვალუტით.

აქტივები და ვალდებულებები

საზოგადოება აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად აქტივებს – რესურსებს, რის საფუძველზეც იღებს და მომავალშიც მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

საზოგადოებას აქვს ვალდებულებები წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლას საწარმოდან. ასეთი ვალდებულებები (კრედიტორული) მოცემულია ხარჯის სახით, რაც წარმოადგენს მიღებული სერვისის ან პროდუქციის ასანაზღაურებელ თანხას. კრედიტორული დავალიანება, რომლის დაფარვის ვადაც ერთ წელზე მეტია, აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

საზოგადოებას საანგარიშებო პერიოდში სპეციალური ავტომანქანების შესასყიდად აქვს აღებული სესხები და შესაბამისად წარმოემვა გრძელვადიანი ვალდებულებები.

ბანკის სესხების კონსოლიდირებული ვალდებულებების დაფარვის მოცულობამ 2018 წელს შეადგინა 311825,16 ლარი, ხოლო 2017 წელს - 267476,02 ლარი.

სავაჭრო ვალდებულებები სრულდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი.

აქტივებისა და ვალდებულებების ან შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა საზოგადოებაში არ მომხდარა.

3. შემოსავალი

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება დაუყოვნებლივ მის მიღებაზე გაწეული ხარჯების პროპორციულად.

საზოგადოებაში ფიქსირდება ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების შემოდინების ან ვალდებულებების შემცირების ხარჯზე, რამაც გამოიწვია საწარმოს საკუთარი კაპიტალის გაზრდა.

საზოგადოების საქმიანობში დაფიქსირდა პოზიტიური ტენდენციები. საოპერაციო შემოსავალი წინა წელთან შედარებით 2018 წელს გაიზარდა 22.88% - ით ანუ 442412.3 ლარით. საოპერაციო მოგება ამავე პერიოდში გაიზარდა 5,2 ჯერ და შეადგინა 295721,26 ლარი. 2018 წელს 2017 წელთან შედარებით შემცირდა როგორც დებიტორული, ისე კრედიტორული დავალიანებები.

4. ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის მომენტისათვის.

წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საზოგადოების საქმიანობის შედეგი. შედეგებში აისახა მთლიანი და მათ შორის საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობები.

არასაოპერაციო ხარჯების ძირითადი ნაწილი 2018 წელს მოდის სასესხო ვალდებულებების დაფარვაზე.

საზოგადოებაში, საანგარიშო პერიოდში დივიდენდი არ გაცემულა.

5. ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში.

6. პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, ვინაიდან მოსალოდნელი არაა ეკონომიკური სარგებლის გასვლა საზოგადოებიდან და შესაძლებელია ვალდებულებების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე არ არის ასახული პირობითი აქტივები. ამ სახის ეკონომიკური სარგებლის შემოსვლს შესაძლებლობა საზოგადოებაში არ ფიქსირდება.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია შპს-ს იმედი დამფუძნებელი პარტნიორების 2019 წლის 16 სექტემბრის საერთო კრების საოქმო გადაწყვეტილებით.

შპს-ს „იმედი“
დირექტორი:



მამუკა კოპაძე